ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3924524

ნომერი: AR1590559

თარიღი : 16.04.2018

გაცემის თარიღი : 23.04.2018

გაცნობის თარიღი : 23.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

სამგორის ქ. #2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ქართველიშვილი პ/ნ 01009008535
- თბილისი ვაჟა-ფშაველას I შეს. N 3 ბ. 167

ნომენკლატურა :

- აშენებული
- შენობის ნაწილები - კარი, ფანჯარა, კიბე, სამერცხლული
- ლეგალიზება
- პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა

წარმოდგენილ ფოტოსურათებში არ არის მონიშნული სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი შენობის ნაწილ(ებ)ი, საჭიროა კარგად აღქმადი და პანორამული ფოტოსურათების წარმოდგენა, რათა მოხერხდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობის დადგენა. წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი, სადაც აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე ხდება შ.პ.ს. „მირეი+“-ის და შ.პ.ს. „ტატა“-ს საკუთრებაში არსებული ფართის ლეგალიზება, თუმცა მოთხოვნა არა თუ ფართის, არამედ შენობის ნაწილების ლეგალიზებაზეა. ამასთან, არ არის წარმოდგენილი ფასადი (სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი ნაწილ(ებ)ის შესაბამისი ზომების მითითებით).

განცხადებით მოთხოვნილია როგორც პროექტის დარღვევით მოწყობილი ნაწილების ლეგალიზება, თუმცა არ არის წარმოდგენილი შეთანხმებული პროექტის და მშენებლობის ნებართვის ასლი, რის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო ღიობების მოწყობა (იმ შემთხვევაში, თუ ღიობები უნებართვოდაა მოწყობილი, უნდა მოხდეს

ნომენკლატურის ზუსტი არჩევა და ნაცვლად პროექტის დარღვევისა, უნებართვოზე წარმოდგენა). წარმოდგენილია ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული აზომვითი ნახაზი, რომელიც არ არის კარგად აღქმადი და არ მოიცავს მე-II სართულს (წარმოდგენილი უნდა იქნას ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული დოკუმენტაცია სრულყოფილად).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 15 დღის ვადაში აირჩიოს ზუსტი ნომენკლატურა (საჭიროების შემთხვევაში) და დამატებით წარმოადგინოს:

ა) დამატებითი და კარგად აღქმადი ფოტოსურათები - სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი შენობის ნაწილ(ებ)ის მონიშვნით/მითითებით;

ბ) შესწორებული აზომვითი ნახაზი და დამატებით ფასადი - ზომების მითითებით;

გ) სალეგალიზაციოდ წარმოდგენილი ობიექტ(ებ)ის მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ტექნიკური აღრიცხვის არქივში დაცული საარქივო მასალის სრული დოკუმენტაცია მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის #2 (ნაკვეთი #8/78), (გეგმები, ტექნიკური და უფლების დამდგენი დოკუმენტები, საინვენტარიზაციო გეგმა - კარგად აღქმადი));

ე) თანამესაკუთრეთა მიერ გაცემული და შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა;

ვ) შპს „ინვესტიკო ჯგუფი“-ს წესდება;

2. ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.